

ტენდერის დასახელება:

შპს „ავერსი-ფარმა“ აცხადებს ტენდერს სერვერული აპარატურის შესყიდვაზე და მონიტორინგის განხორციელების თაობაზე

- სერვერული აპარატურის ტექნიკური მახასიათებლები და მონიტორინგის განსახორციელებელი დეტალები მოცემულია დანართში №1 და დანართი №2;
- აფიდავიტი მოცემულია დანართში №3;
- ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი მოცემულია დანართში №4;

დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

- საქონლის დასახელება, ფასი, ტექნიკური მახასიათებლები (პარამეტრები).
- მისაწოდებელი საქონლის და სისტემის ღირებულება (ღირებულება მითითებული უნდა იყოს ლარში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით), რომელშიც ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების ღირებულებაც;
- ღირებულების გადახდის პირობა;
- მიწოდების ვადა;
- საგარანტიო პირობები, ვადა (საგარანტიო პერიოდი არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები);

* შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი შემოთავაზება უნდა ითვალისწინებდეს შემსყიდველის კონსულტაციას სისტემის გამართვის პერიოდში.

პრეტენდენტი, რომელსაც საქონლის ღირებულების გადახდის პირობაში ავანსის სახით საქონლის საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ან 5000 (ხუთი ათასი) ლარზე მეტი თანხის ჩარიცხვა აქვს გათვალისწინებული, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში და თუ შემსყიდველი ჩათვლის საჭიროდ, ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე წარმოადგინოს საბანკო გარანტია ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან.

ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონული სისტემის eTenders.ge-ს საშუალებით 2022 წლის 24 ივნისს, 16:00 სთ–მდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი,;
- სრულყოფილად შევსებული კომერციული წინადადება.
- შევსებული აფიდავიტი დანართის №3 სახით;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში, პრეტენდენტის მიერ ანალოგიური სისტემის მიწოდებაზე ორი შემსყიდველი პირის რეკომენდაცია;

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.

პრეტენდენტს, მყიდველის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებით მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- საბანკო რეკვიზიტები, დამოწმებული ბანკის სველი ბეჭდით;
- ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელი/არაგადამხდელი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 დღე);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- საგადასახადოს სარეგისტრაციო კოდი და გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შელავათების მქონე გადამხდელი";

შენიშვნა: პრეტენდენტს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული შ.პ.ს. „ავერსი-ფარმა“-ს მიერ ბოლო 2 თვის განმავლობაში ჩატარებულ ტენდერში და წარმოდგენილი აქვს ზემოაღნიშნული საბუთები, არ ევალება მოცემულ ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებით წარმოადგინოს მითითებული დოკუმენტაცია, გარდა პრეტენდენტის მიერ მიწოდებული ანალოგიური საქონლის სიის, არანაკლებ ორი შემსყიდველი პირის რეკომენდაციისა და აფიდავიტისა. წინამდებარე გამონაკლისი არ ვრცელდება იმ პრეტენდენტზე, რომლის მონაცემებშიც შევიდა ცვლილება მითითებული პერიოდის განმავლობაში.

მყიდველის მოთხოვნით, ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, პრეტენდენტებს ასევე შესაძლებელია მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა. სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

შენიშვნა: *ტენდერი* *ტარდება* *"რევერსული* *აუქციონის* *პრინციპით".*
რევერსული აუქციონი გულისხმობს პოტენციური მიმწოდებლების მიერ სატენდერო წინადადებების ფასები ს განთავსებას კლებადობის პრინციპით – მიმწოდებლები ონლაინ რეჟიმში აკლებენ ფასებს და ამით, როგორც ზემოთ აღნიშნა, კლებადობის პრინციპით ვაჭრობენ ერთმანეთთან. ჩვენს სისტემაში ჩაშენებულია ე.წ. ინგლისური ტიპის რევერსული აუქციონი, რომელიც ფუნქციონირებს შემდეგნაირად: (როგორც წესი, პრეკვალიფიცირებული) პრეტენდენტები წარადგენენ მათ სატენდერო წინადადებებს eTenders.ge–ს საშუალებით რევერსული აუქციონის მსვლელობის ეტაპზე „წინადადებების მიღება დაწყებულია“. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დანიშნულ დროს მთავრდება წინადადებების მიღება. ამავდროულად იწყება რევერსული აუქციონის ვეჭრობის ეტაპი, რომლის საწყისი ხანგრძლივობა შეადგენს 15 წუთს. აღნიშნული დროის ფარგლებში იმართება მიმწოდებლებს შორის ელექტრონული ვაჭრობა, რაც გულისხმობს მათ მიერ ფასების კლებას სხვა პრეტენდენტების მიერ წარდგენილი ფასების გათვალისწინებით. ფასების კლების ოდენობები ჩვენთან შეზღუდული არ არის. აღსანიშნავია, რომ რევერსული აუქციონის მსვლელობის უკანასკნელი ორ წუთის განმავლობაში ფასის დაკლების შემთხვევაში, რევერსული აუქციონის დროის მრიცხველი უბრუნდება ისევ მეორე უკანასკნელ წუთს (მაგალითად, რევერსული აუქციონი სრულდება 27 წამში. პრეტენდენტმა შეამცირა ფასი 100–დან 99–ზე. რევერსული აუქციონის მიმდინარეობის ხანგრძლივობა იზრდება და წამების კლება იწყება მე–2 წუთის ბოლოდან). ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს მიმწოდებლების მხრიდან ფასის დაფიქსირებისათვის ვაჭრობის ეტაპის ბოლო წამის მოლოდინს. ცხადია, შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალება ეძლევა თვალი ადევნოს ვაჭრობის პროცესის მსვლელობას ონლაინ რეჟიმში.

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის, ინფორმაციის დაზუსტებისათვის ს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ შემდეგ საკონტაქტო პირებს: თეიმურაზ კვარაცხელია, ტელ.: 577 451561, მაია კოჩაძე, ტელ.: 577 951085.

სერვერებზე ტექნიკური საკონტაქტო პირი: დავით ამბოკაძე, david.ambokadze@aversi.ge 599934363;

მონიტორინგის სისტემაზე ტექნიკური საკონტაქტო პირი: ირაკლი ლურსმანაშვილი, Ika.lursmanashvili@aversi.ge, 577760603, ვახო დგებუაძე Vakho.Dgebuadze@aversi.ge, 577059920